სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2012 წლის ოქტომბერი

შინაარსი

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა 3

ნაწილი 4 - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით 3

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები 3

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 8

4.3 სასამართლოში წარმართვა 11

ნაწილი 5 - სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით 16

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 16

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 18

5.3 სასამართლოში წარმართვა 19

ნაწილი 6 - არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები 21

6.1 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები 21

6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ 22

6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ 23

6.4 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა 24

თავი III. სასამართლო სტატისტიკა 25

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები..... 25

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები 25

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები 27

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა 27

8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები 28

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები 29

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები 29

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით 29

9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა 30

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები 33

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები 35

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით 35

10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 40

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა ……..... 43

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი……..... 43

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში…..... 43

11.2 ბრალდებულები ……..... 44

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ……..... 45

11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით ……..... 46

11.5 მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით 47

11.6 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით..... 48

11.7 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები ……..... 50

11.8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა 51

11.9 რესოციალიზაცია ……..... 52

11.10 დისციპლინური ღონისძიებები ……..... 53

11.11 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა ……..... 53

11.12 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში ……..... 54

11.13 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში ……. 56

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო..... 63

12.1 პრობაციონერთა რაოდენობა ……..... 63

12.2 პრობაციონერთა რაოდენობის მატება……..... 69

12.3 დასრულებული საქმეები ……..... 71

12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში ……..... 73

12.5 პრობაციონერთა რესოციალიზაცია 73

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა[1]

ნაწილი IV - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2012 წლის ოქტომბერში საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიებზე დანაშაულთა ფაქტების რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 37 შემთხვევაში, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 94, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 213 შემთხვევაში.



საანგარიშო პერიოდში დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (101), შემდეგ სატრანსპორტო დანაშაულებზე (52) და ნარკოტიკულ დანაშაულებზე (51) (იხ, დანართი ცხრილი #5).

[1] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის ანალიტიკური სამმართველოს მიერ.



2012 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან განზრახ მკვლელობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 6 შემთხვევაში, ხოლო მკვლელობის მცდელობის დანაშაულებზე - 6 შემთხვევაში.



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე დევნა დაიწყო 7 შემთხვევაში, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე - 6 შემთხვევაში.

დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2012 წლის ოქტომბერი)



ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულზე დევნა დაიწყო 3 შემთხვევაში.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ქურდობისა (60) და ყაჩაღობის (14) დანაშაულებზე:

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2012 წლის ოქტომბერი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებლები შემდეგნაირია: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე დევნა დაიწყო 9 ფაქტზე, 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე - 7, ხოლო ხულიგნობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 10 შემთხვევაში.

ნარკოტიკული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა: პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (35).



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 52 შემთხვევაში.

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, ან გამოყენების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 შემთხვევაში.

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

საანგარიშო პერიოდში დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი შემდეგნაირია: სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის - 3 ფაქტზე, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის - 12 ფაქტზე:

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით
(2012 წლის ოქტომბერი)



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო **ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე** (4 ფაქტი). (იხ. დანართი ცხრილი #5).

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2012 წლის ოქტომბერი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ჯანმრთლეობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების 2 დანაშაულზე.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები დაფიქსირდა ქურდობის 2 დანაშაულსა და თაღლითობის 1 დანაშაულზე:



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების 1 დანაშაულზე.

სამოხელეო დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ამგვარია:



4.3 სასამართლოში წარმართვა

სასამართლოში საქმის წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოში საქმე წარიმართა 20 შემთხვევაში, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 28 შემთხვევაში, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 72 შემთხვევაში.



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სასამართლოში საქმის წარმართვის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ნარკოტიკულ დანაშაულებზე (30) (იხ. დანართი, ცხრილი #5).

სასამართლოში წარმართვის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით (2012 წლის ოქტომბერი)



სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სასამართლოში საქმე წარიმართა მხოლოდ განზრახ მკვლელობის - 1 ფაქტზე.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 1 შემთხვევაში და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულზე - 2 შემთხვევაში:



საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სასამართლოში წარმართულ საქმეებში ყველაზე მაღალი იყო ქურდობის მაჩვენებელი:



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებზე სასამართლოში წარმართულ საქმეებში ყველაზე ხშირი იყო ცეცხლსასროლი იარაღის,

საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების ფაქტები (12):



ნარკოტიკული დანაშაულებიდან სასამართლოში წარმართულ საქმეებში ყველაზე ხშირი იყო პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონოდ დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (16 შემთხვევა):



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 11 შემთხვევაში.

მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, გამოყენების დანაშაულზე საქმე სასამართლოში წარიმართა 2 ფაქტზე.

ნაწილი V - სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2012 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 268 პირის მიმართ. აქედან 19,8%-მა (53 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №6).

2012 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები რეგიონებისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიხედვით ამგვარია:



2012 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (61 პირი)*** და შეადგინა სულ დევნის დაწყების 22,8%, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აღინიშნა ***ქვემო ქართლში (10 პირი)*** და შეადგინა სულ დაწყებული დევნის 3,7% (იხ. დანართი ცხრილი №7;8) .

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2012 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 22 პირის მიმართ. (იხ. დანართი ცხრილი №6).

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***დასავლეთ საქართველოში (8 პირი)*** და შეადგინა სულ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის 36,4%. (იხ. დანართი ცხრილი №7;8).



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა ***საქართველოს დანარჩენ რეგიონებში.***

5.3 სასამართლოში წარმართვა

2012 წლის ოქტომბერში სულ სასამართლოში წარიმართა 99 საქმე 128 პირის მიმართ. აქედან არსებითად განსახილველად წარიმართა 56 საქმე (56,6% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 82 პირის მიმართ (64,1% სულ პირთა რაოდენობაში, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა), ხოლო საპროცესო შეთანხმებით - 43 საქმე (43,4% სულ სასამართლოში წარმართულ საქმეებში) 46 პირის მიმართ (35,9% სულ პირთა რაოდენობაში, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა) (იხ. დანართი ცხრილი №6)

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა (2012 წლის ოქტომბერი)



2012 წლის ოქტომბერში არსებითად განსახილველად და საპროცესო შეთანხმებით წარმართული საქმეების პროცენტული თანაფარდობა (პირთა რაოდენობა) რეგიონების მიხედვით ამგვარია:



ამრიგად, 2012 წლის ოქტომბერში პირთა რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომელთა მიმართაც საქმე სასამართლოში წარიმართა, დაფიქსირდა ***მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში (54 პირი),*** ხოლო დაბალი მაჩვენებელი - ***სამცხე-ჯავახეთში (1 პირი).***

ნაწილი VI - არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და მათ მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

6.1 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები

2012 წლის ოქტომბერში დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი ფიგურირებდა 49 შემთხვევაში, აქედან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე მოდის 6% (3 დანაშაულის ფაქტი), მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 57% (28 დანაშაულის ფაქტი), ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 37% (18 დანაშაულის ფაქტი).

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული კატეგორიების მიხედვით (2012 წლის ოქტომბერი)



საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე ხშირი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (42 დანაშაული) (იხ. დანართი ცხრილი #5).



6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ

2012 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 არასრულწლოვანის მიმართ, აქედან 35,3%-მა (6 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №6).

2012 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში*** (12 პირი) და შეადგინა 70,6% სულ დევნის დაწყებაში. (იხ. დანართი ცხრილი №7;8).



მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს სხვა რეგიონებსა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა.

6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2012 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი <u>დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ არ დაფიქსირებულა</u> (იხ. დანართი ცხრილი №6;7;8).

6.4 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა

2012 წლის ოქტომბერში სულ საქმე სასამართლოში წარიმართა 14 არასრულწლოვნის მიმართ - *არსებითად განსახილველად.*

2012 წლის ოქტომბერში სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართული საქმეები არასრულწლოვან პირთა მიმართ რეგიონების მიხედვით ასე გადანაწილდა:



2012 წლის ოქტომბერში არასრულწლოვან პირთა მიმართ საქმე სასამართლოში არ წარმართულა <u>საქართველოს დანარჩენი რეგიონების მიერ.</u>

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 285 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 30,9%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 69,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 209 შუამდგომლობა, ანუ 73,3%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 94,3%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 64,0%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 75 შუამდგომლობა, ანუ 26,3%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება 1 შუამდგომლობას, ანუ 0,4%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2012 წლის ოქტომბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 39,5% (83), გირაოზე - 60,5% (127).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 411 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 83, ანუ 39,5%, ხოლო არასაპატიმრო - 127, ანუ 60,5%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 100,0%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 555 საქმე 701 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 534 საქმე, ანუ 96,2%, დაუბრუნდა პროკურატურას 15 საქმე, ანუ 2,7%, შეწყდა 6 საქმე, ანუ 1,1% (იხ. დანართი ცხრილი #10).

2012 წლის ოქტომბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 480 საქმე (სულ განხილული საქმეების 89,9%) 617 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 91,3%), არსებითი განხილვით დამთავრდა 54 საქმე (შესაბამისად 10,1%) 59 პირის მიმართ (8,7%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 54 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 52 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 1 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი - 1 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი #11).

2012 წლის ოქტომბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 65 პირიდან გამართლებული პირების ხვედრითი წილი შეადგენს 3,1%-ს, ხოლო იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთა მიმართაც საქმე შეწყდა შეადგენს 9,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი #12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში საპროცესო შეთანხმებით შემოსული იყო 158 სისხლის სამართლის საქმე 180 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 480 საქმეზე 617 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 67,4%-ს (იხ. დანართი ცხრილი # 13).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2012 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 674 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 170 პირს, ანუ 25,2%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 434 პირს, ანუ 64,4%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 63 პირს, ანუ 9,3%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 7 პირის, ანუ 1,0%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2012 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 674 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,9%-ს, ხოლო ქალი 6,1%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 2,7%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 8,2%-ს; ჯგუფში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 6,5%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 16,5%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 1,9% (იხ. დანართი ცხრილი # 14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 19 პირი, რაც შეადგენს 2,8%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 119 პირი, ანუ 17,7%,

- 25-29 წლის ასაკის - 105 პირი, ანუ 15,6%,

- 30-49 წლის ასაკის - 334 პირი, ანუ 49,6%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 97 პირი, ანუ 14,4 %.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 30 პირი, ანუ 4,5%, საშუალო განათლების მქონეა 466 პირი, ანუ 69,1%, უმაღლესი განათლების მქონეა 177 პირი, ანუ 26,3%, განათლების გარეშე 1 პირი, ანუ 0,1%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



674 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 473, ანუ 70,2%

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 82, ანუ 12,2%

- სხვა მომუშავეა 47, ანუ 7,0%

- კერძო მეწარმეა 22, ანუ 3,3%

- მოსწავლე ან სტუდენტია 11, ანუ 1,6%

- საჯარო მოსამსახურეა 22, ანუ 3,3% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 6,1%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2012 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული იყო 19 არასრულწლოვანი, 2,8%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 17, ანუ 89,5%, გოგონა 2, ანუ 10,5%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 14 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 73,7%, ჯგუფში დანაშაული ჩადენილი აქვს 4 პირს, ანუ 21,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი # 15).

2012 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 19 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს, ანუ 26,3%-ს, პირობითი მსჯავრი 9 პირს, ანუ 47,4%-ს, ჯარიმა 5 პირს, ანუ 26,3%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 19 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 9 პირს, ანუ 47,4%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 44,4%;

- ხულიგნობისათვის - 3 პირს, ანუ 16,8%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს;

- განძრახ მკვლელობისათვის 1 პირს, ანუ 5,3%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 100,0%-ს (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 10 არასრულწლოვანი, ანუ 52,6%;

- იმერეთისა და გურიის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 3-3 არასრულწლოვანი, ანუ 15,8%;

და სხვა (იხ. დანართი ცხრილი # 18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 534 საქმე 676 პირის მიმართ (მათ შორის 2 პირის მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი). მსჯავრდებული 674 პირის მიერ ჩადენილი იყო 822 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 954 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი # 19).

2012 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 13,4%-ს, მძიმე დანაშაული - 37,3%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული - 49,3%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 954 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 12,9%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 10,4%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 46,8%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 36,6%-ს, პირობითი მსჯავრის - 61,8%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 37,9%-ს, პირობითი მსჯავრის - 53,8%-ს, ჯარიმის - 8,3%-ს .

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 18,2%-ს, პირობითი მსჯავრის - 61,7%-ს, ჯარიმის - 18,4%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 1,8%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2012 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 64 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 7,8%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 71 სასჯელი, ანუ 7,4%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 38,0%-ს, პირობითი მსჯავრის 29,6%-ს, ჯარიმის - 26,8%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 5,6%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 6,7%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 6,5%-ს (იხ. დანართი ცხრილი # 20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 30,4% (250), შემდეგ მოდის ნარკოტიკულ დანაშაულზე - 18,6% (153), დანაშაულზე ფულად-საკრედიტო სისტემაში 9,4% (77), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 9,1% (75), სატრანსპორტო დანაშაულზე 6,6% (54), დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ 6,1% (50), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე 5,5% (45) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა



2012 წლის ოქტომბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 954 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 28,5%-ს (272);

- პირობითი მსჯავრი 58,5%-ს (558);

- ჯარიმა 12,2%-ს (116);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 0,8%-ს (8).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2012 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 408, ანუ 42,8% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 100, ანუ 10,5%, იმერეთის სასამართლოებზე - 153, ანუ 16,0%, სამეგრელო - ზემო სვანეთის სასამართლოებზე - 76, ანუ 8,0%, აჭარის სასამართლოებზე - 68, ანუ 7,1%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 56, ანუ 5,9% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი #21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: გურიაზე - 61,5%, სამეგრელო-ზემო სვანეთზე – 51,3%, სამცხე-ჯავახეთზე - 41,7%, აჭარაზე - 38,2%, ქვემო ქართლზე - 36,0 და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: რაჭა-ლეჩხუმზე - 100,0%, მცხეთა-მთიანეთზე - 74,2%, იმერეთზე - 73,9%, შიდა ქართლზე - 71,47%, თბილისზე - 64,5% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ქვემო ქართლი - 21,0%, სამცხე-ჯავახეთი – 20,8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 19,7%, აჭარა -17,6% და სხვა.

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა[2] რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2012 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 21 425 პირი. მათგან 20 346 კაცი და 1 079 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტროს“) სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული და სტატისტიკურ-ანალიტიკურ სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება საქართველოს მოსახლეობის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2012 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმდინარე წლის ოქტომბრის მონაცემების შედარების შედეგად პატიმრების საერთო რიცხვმა (21 425) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (4 497 600) 0.48% შეადგინა. მამრობითი სქესის პატიმრები (20 346) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (2 143 800) 0.95%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის პატიმრები (1 079) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (2 353 800) 0.05%-ს შეადგენენ (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდის (20 222). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები

[2] წინამდებარე ანგარიშში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში განთავსებული ყველა პირი აღინიშნება ტერმინით „ბრალდებულები“ და „მსჯავრდებულები“. იგივე კატეგორია შეიძლება აღინიშნებოდეს ასევე საერთო აღმნიშვნელი ტერმინით - „პატიმრები“.

სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24):



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ხანდაზმული ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.



11.2 ბრალდებულები[3]

[3] წინამდებარე ანგარიშში ტერმინი „ბრალდებულები“ აღნიშნავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის (თ/ა) დაწესებულებებში განთავსებულ არამსჯავრდებულ პირებს.

2012 წლის ოქტომბრის თვეში 8 პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებაში სულ 697 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 3.3%-ს ბრალდებულები შეადგენენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №25):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2012 წლის ოქტომბრისთვის №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა (კატეგორიაში „სხვა“ ერთიანდება №6 და №7 დაწესებულებები).

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი პატიმრების რიცხვი (127) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.6%-ს უტოლდება. მათგან 25 ბრალდებულია. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 3.6%-ს, ხოლო არასრულწლოვანი პატიმრების საერთო რაოდენობის 19.7%-ს შეადგენს. მათგან 24 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესისაა. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



102 არასრულწლოვანი მსჯავრდებულიდან 2 ქალია. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს, ხოლო არასრულწლოვანი პატიმრების საერთო რაოდენობის 80.3%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):



11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით

2012 წლის ოქტომბრის თვეში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები პატიმართა საერთო რაოდენობის 96.7%-ს შეადგენს. მათგან უმეტესობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენენ. ასევე, დიდი

ხვედრითი წილი აქვს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების რაოდენობასაც (იხ. დანართი, ცხრილი №27).



11.5 მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით

2012 წლის ოქტომბერში მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ტიპები[4] განესაზღვრათ 20 728-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 155-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

[4] თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ერთიანდება შემდეგი ტიპის დაწესებულებები: ნახევრად ღია, დახურული და არასრულწლოვანთა სპეციალური.

მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით



11.6 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №184 ბრძანებით[5] დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას დაქვემდებარებულ 17 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 25 354-ს შეადგენს. 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (21 425) ამ ზღვარზე 3 929 ერთეულით (15.5%-ით) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებული მდგომარეობაა. ქვემოთ მოცემულ ორ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც კლების ან მატების ნიშნით წამძღვარებული პროცენტული

[5] საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 7 მაისის №63 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №184 ბრძანებაში. ცვლილების საფუძველზე გაუქმდა №10 და №13 დაწესებულებები, ხოლო №1, №4, №5, №6, №9, №12, №14 და №15 დაწესებულებების ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილი რაოდენობრივი ლიმიტები შეიცვალა, რაც შესაბამისად ასახულია წინამდებარე ანგარიშში მოცემულ დიაგრამებსა და თანდართულ ცხრილში.

მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია პროცენტული რაოდენობის შესაბამისი ციფრი. ამდენად თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე სიჭარბე ან ნაკლებობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის ფორმით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით მეტობისა და ნაკლებობის მაჩვენებლებით





როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, 2012 წლის სექტემბერში 3 დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტთან შედარებით ჭარბი რაოდენობა იყო განთავსებული, ხოლო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილზე ნაკლები რაოდენობა 14 დაწესებულებაში იმყოფებოდა. პროცენტული სიჭარბის მაჩვენებლით პირველ ადგილზე №18 დაწესებულებაა, ხოლო დადგენილთან შედარებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა პროცენტულად №11 და №7 დაწესებულებებში დაფიქსირდა.

11.7 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

უცხოელი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის დათვლა დაწესებულებების მიხედვით მიმდინარეობს.

საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მოთავსებული 33 უცხო ქვეყნის მოქალაქეების საერთო რიცხვი მიმდინარე წლის ოქტომბრის დასასრულს 310 (პატიმართა საერთო რაოდენობის 1.4%) იყო, მათ შორის 6 ორმაგი მოქალაქეობის (2 - რუსეთი-საქართველო, 2 - აზერბაიჯანი-საქართველო, 1 - ირანი-საქართველო, 1 - ბელგია-საქართველო). ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია უცხოელ მოქალაქეთა საერთო რაოდენობის პროცენტული შემადგენლობა (იხ. დანართი, ცხრილი №30):



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს უცხოელთა უმრავლესობას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ. უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანელებზე, რუსებზე, სომხებსა და თურქებზე მოდის. შედარებით ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდებიან ისრაელი, ბანგლადეში, უკრაინა, ირანი და დანარჩენი ქვეყნები.

11.8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2012 წლის ოქტომბერში საქართველოს პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 1 000 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის სასჯელაღსრულების სისტემიდან გასულ პატიმართა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №31):



როგორც ვხედავთ, სასჯელაღსრულების სისტემიდან გასულ პატიმართა უდიდესი წილი კალენდარულზე მოდის. ასევე, მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება პირობით ვადამდე და პირობითი მსჯავრით გათავისუფლებული მსჯავრდებულები. შედარებით დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი განაჩენის აღსრულების გადავადება (ავადმყოფობით), გარდაცვალება და ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო გათავისუფლება. ხოლო სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (58) მთლიანი რაოდენობის 5.8%-ს შეადგენს.

11.9 რესოციალიზაცია[6]

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული პატიმრების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში.

2012 წლის ოქტომბერში პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 369 პირისთვის მოქმედებდა. ყველაზე დიდი ადგილი აღნიშნულ პროგრამებში ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციასა და სახელობო განათლებას უკავია, რომლებიც საანგარიშო პერიოდში შესაბამისად 169 და 66 პირისთვის მიმდინარეობდა.

დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული პატიმრების რაოდენობის პროცენტული შედარება (იხ. დანართი, ცხრილი №32):



ფსიქო-სოც. რეაბილიტაციისა და სახელობო განათლების პროგრამებში სრულწლოვან კონტიგენტთან ერთად ჩართული იყვნენ არასრულწლოვნებიც, ხოლო გადამზადებითი, პროფესიული განათლებისა და შრომით საქმიანობაში პატიმართა მხოლოდ სრულწლოვანი კონტინგენტი იყო ჩართული. ასევე, 46 არასრულწლოვანი პატიმარი ზოგადი განათლების პროგრამაში ფიქსირდებოდა (იხ. დანართი, ცხრილი №32).

[6] რესოციალიზაციის მონაცემები მოიცავს როგორც მიმდინარე (291), ასევე საანგარიშო თვეში დასრულებულ პროგრამებს (78).

რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პატიმრები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



რაც შეეხება გარესამყაროსთან ურთიერთობას, საანგარიშო თვის განმავლობაში პატიმრებმა პაემნის უფლებით სულ 14 147-ჯერ ისარგებლეს. მათგან 13 355 პაემანი ხანმოკლე, 702 - ხანგრძლივი, ხოლო 90 - ვიდეო იყო.

11.10 დისციპლინური ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური ღონისძიება პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში 122-ჯერ იქნა გამოყენებული, მათგან 45-ჯერ საყვედურის გამოცხადებით და 77-ჯერ სამარტოო საკანში მოთავსებით (იხ. დანართი, ცხრილი №32).

11.11 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2012 წლის ოქტომბერში სასჯელაღსრულებით სისტემაში დაწესებულებებს შორის სულ 814 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან ყველაზე დიდი წილი გადაყვანილ იქნა სხვა პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში (იხ. დანართი, ცხრილი №33).



ხოლო სასჯელაღსრულების სისტემის გარეთ საერთო პროფილის საავადმყოფოებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 324 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №33).

11.12 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი სასჯელაღსრულების სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ სისხლის სამართლის კოდექსის 14 მუხლით გათვალისწინებული 80 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სსკ 118-ე მუხლით ჩადენილ ქმედებებზე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მოდის. ა/წ ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 52 ერთეულს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია მიმდინარე წლის ოქტომბერში თვეში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №34):

დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება



2012 წლის ოქტომბრის თვეში ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები
დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2012 წლის ოქტომბერში გამოძიება 14 სხვადასხვა დაწესებულებაში მომხდარ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი თითოეულ დაწესებულებაში ჩადენილი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №34).

ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები



საანგარიშო პერიოდში გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 81 პირის მიმართ[7] წარიმართა. გამოძიების ობიექტი ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 25-35 და 18-25 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2012 წლის ოქტომბერში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №35):



11.13 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

ა) დაავადებები

სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით 2012 წლის ოქტომბერში ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 3 870-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

სასჯელაღსრულებით სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი სტომატოლოგიურ დაავადებებზე მოდის, ასევე გავრცელებულია თვითდაზიანება და ტრამვები და

[7] სსკ 236-ე (1 საქმე), 177-ე (3 საქმე), 151-ე (1 საქმე), 138-ე (2 საქმე) და 125-ე (1 საქმე) მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე გამოძიება დაწყებულია ფაქტებზე პირების გარეშე, 118-ე მუხლით 1 საქმეში ფიგურირებს 3 პირი, ხოლო 7 საქმეში 2-2 პირი და 378[2] (1 საქმე) მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაზე გამოძიება დაწყებულია 2 პირის მიმართ.

სასუნთქი სისტემის დაავადებები. შედარებით მცირე მაჩვენებლებით ხასიათდებიან ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის (38), ინფექციური (28), მწვავე ქირურგიული (24), ენდოკრინული სისტემის (13), ონკოლოგიური (7), აივ ინფექცია/შიდსი-ახლადგამოვლენილი (5) და ჰემატოლოგიური (1) დაავადებები, რომლებიც ქვემოთ დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (იხ. დანართი, ცხრილი №36):



დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები ხასიათდებიან. დაავადებები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №37):



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს სრულწლოვანი ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს სრულწლოვან დაავადებულთა საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №37):



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ ა/წ ოქტომბერში თვეში დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებში 25-დან 35 წლამდე, ხოლო ქალებში 45 წლის ზემოთ ასაკობრივ კატეგორიებში ვლინდება.

შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის (იხ. დანართი, ცხრილი №37):

დაავადებები სრულწლოვან კაცებში



დაავადებები სრულწლოვან ქალებში



სტომატოლოგიური დაავადებების შემდეგ, მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში შარდ-სასქესო სისტემის და ნერვული სისტემის დაავადებები ჭარბობს, თუმცა მათი ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სტომატოლოგიური დაავადებების მაჩვენებელს. ხოლო, ზრდასრულ მამაკაცებში სტომატოლოგიური დაავადების შემდეგ მაღალია თვითდაზიანება და ტრამვები, ასევე სასუნთქი სისტემის დაავადებათა მაჩვენებელი.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა დაავადებათა მთლიანი რაოდენობის 1.3%-ს შეადგენს. მომდევნო დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან პატიმრებში დაავადების კატეგორიის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №37):



როგორც ვხედავთ 2012 წლის ოქტომბერში არასრულწლოვან პატიმრებში ყველაზე მეტად სტომატოლოგიური, სასუნთქი სისტემის, ფსიქიური და გრძნობათა ორგანოების დაავადებები იყო გავრცელებული.

ბ) მკურნალობა

პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული სამედიცინო დახმარების ტიპის მიხედვით ითვლება.

ამბულატორიული ვიზიტებისა და მკურნალობის გარდა, რომლითაც მიმდინარე წლის ოქტომბერში ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა 40 854-ჯერ ისარგებლეს, სასჯელაღსრულებით სისტემაში 806-ჯერ იქნა გაწეული პირველადი სამედიცინო შემოწმება, ხოლო 114-ჯერ სასწრაფო და გეგმიური ქირურგიული დახმარება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2012 წლის ოქტომბერში გაწეულ სამედიცინო დახმარებას მისი ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №38):



ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტაციონარული მკურნალობის მიმდინარეობის მაჩვენებელი სად-ის სისტემისა და სამოქალაქო სექტორის სპეციალიზირებულ სტაციონარებში, რომელთა საერთო რაოდენობა 473-ს შეადგენს. სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პირთა უმეტესი ნაწილი (276) სად-ის სისტემის სამკურნალო დაწესებულებებშია განთავსებული (იხ. დანართი, ცხრილი №38):



შემდეგი დიაგრამა სტომატოლოგიური მკურნალობის მიმდინარეობისას გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარების მიმდინარეობის მაჩვენებელს ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სტომატოლოგიური მკურნალობა



რაც შეეხება სამედიცინო გამოკვლევებს, სექტემბერში ჩატარდა 4 ტიპის გამოკვლევა ტუბერკულოზზე, „აივ“ ინფექცია/შიდსზე, ჰეპატიტებსა და ვენერიულ დაავადებებზე. მათგან ყველაზე დიდი მაჩვენებელი რაოდენობით 8 552 ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფების გამოსავლენად წარმოებულ მასიურ სკრინინგზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №38).

ჩატარებული გამოკვლევები



2012 წლის ოქტომბრის თვეში დაფიქსირდა სამკურნალო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული 169 მსჯავრდებული. მათგან უმრავლესობა - 111 პირი „აივ“ ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსულ პროგრამაშია ჩართული, 55 - ტუბერკულოზის სამკურნალო „DOTS“ და „DOTS“+ პროგრამებში, 3 – „მეტადონით“ დეტოქსიკაციის პროგრამაში. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ამ მდგომარეობას ნათლად ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):



ამავე თვეში ანტიტუბერკულოზური მკურნალობის კურსი დაასრულა სულ 60-მა მსჯავრდებულმა.

გ) გარდაცვალება

პატიმრობისა და თ/ა დაწესებულებებში გარდაცვალების ფაქტები გარდაცვალების ადგილის მიხედვით აღირიცხება, რაზედაც დგება ყოველთვიური ფორმა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის ოქტომბრის თვეში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარდაიცვალა 4 პატიმარი, მათგან ოთხივე სასჯელაღსრულების №18 დაწესებულებაში (იხ. დანართი, ცხრილი №39).

ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 პრობაციონერთა რაოდენობა[8]

პრობაციონერთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით საქართველოში სულ 36 984 პრობაციონერი დაფიქსირდა. მათი საერთო რაოდენობით რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა თბილისი, ხოლო შემდეგ ადგილებზეა იმერეთი და ქვემო

[8] პრობაციის სტატისტიკის ნაწილში არაპატიმარი მსჯავრდებულები და პრობაციის ღონისძიებას დაქვემდებარებული პირები აღინიშნებიან საერთო ტერმინით - „პრობაციონერები“.

ქართლი. პრობაციონერთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის რეგიონებშია დაფიქსირებული (იხ. დანართი, ცხრილი №40).



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ქვეყანაში პრობაციონერთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრდებულ პირებზე მოდის, ხოლო მცირე მაჩვენებლებით ხასიათდება რაოდენობა იმ პირებისა, რომელთაც შეფარდებული აქვთ სასჯელის მოხდის გადავადება და გამასწორებელი სამუშაო (იხ. დანართი, ცხრილი №40).



როგორც დიაგრამიდან ჩანს პრობაციის ღონისძიება შეფარდებულ პირთა (პირობით მსჯავრდებულები, სასჯელის მოხდისგან პვგ, სასჯელის მოხდა გადავადებული და თავისუფლების

აღკვეთის შემდგომ საპრობაციო ვადადანიშნული პირები) რაოდენობა შეადგენს ზოგადად არაპატიმარ მსჯავრდებულთა და პრობაციონერთა მთლიანი რაოდენობის ძირითად მასას.

მთელი ქვეყნის მასშტაბით პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №41).



დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით პრობაციონერთა რაოდენობას შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №42):





2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით არასრულწლოვანი პრობაციონერები (584) პრობაციონერთა საერთო რაოდენობის 1.6%-ს შეადგენენ. არასრულწლოვანი პრობაციონერების 5.0% (29) ქალია. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №43):





არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (2 104) პრობაციონერთა საერთო რიცხვის 5.7%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 9.5% (200) ქალია. ა/წ ოქტომბერში, ასეთ პრობაციონერებს ძირითადად თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამორთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. მხოლოდ ერთ პირს ჰქონდა შეფარდებული გამასწორებელი სამუშაო. საანგარიშო პერიოდში თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (როგორც ძირითადი და დამატებითი სასჯელის სახით) სულ 1 997 (საერთო რაოდენობის 94.9%), ხოლო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (როგორც ძირითადი და დამატებითი სასჯელის სახით) სულ 106 (საერთო რაოდენობის 5.0%) პირს ჰქონდა შეფარდებული (იხ. დანართი, ცხრილი №44):





პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 36 877-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №40):

პრობაციის ღონისძიების შეფარდების მაჩვენებელი



2012 წლის ოქტომბერში საქართველოში 12 სხვადასხვა მოქალაქეობის 187 უცხოელი პრობაციონერი დაფიქსირდა, რაც პრობაციონერთა მთლიანი რაოდენობის 0.5%-ია. მოქალაქეობის მიხედვით მათი განაწილების მაჩვენებელი ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული (იხ. დანართი, ცხრილი №45):

უცხოელი პრობაციონერები მოქალაქეობის მიხედვით



12.2 პრობაციონერთა რაოდენობის მატება

2012 წლის ოქტომბრის თვეში სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 843 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №46):





ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია მატების მაჩვენებელი 2012 წლის ოქტომბრის თვისთვის სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი, ცხრილი №47):

პრობაციონერების მატება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



12.3 დასრულებული საქმეები

2012 წლის ოქტომბერში დასრულებული საქმეები (2 305) დასრულების საფუძვლის მიხედვით ასე ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №48):

დასრულებული საქმეები



დიაგრამაზე კატეგორიაში „სხვა“ ერთიანდება სასჯელის ვადის გასვლით, პირობითი მსჯავრის გაუქმებითა და განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულებით და სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადის გასვლით (იხ. დანართი, ცხრილი №48).

დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ მეორე ადგილი აჭარის რეგიონს უკავია, ხოლო რაოდენობრივად ბოლო ადგილზე მცხეთა-მთიანეთის რეგიონია 17 დასრულებული საქმით (იხ. დანართი, ცხრილი №48).

დასრულებული საქმეები რეგიონულ ჭრილში



დასრულებული საქმეების რაოდენობა პრობაციონერთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №49):

დასრულებული საქმეები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში

2012 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით ქვეყანაში 36 984 პრობაციონერის საქმე 173 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში თბილისი ლიდერობს, რიგით მეორე ადგილზეა შიდა ქართლი. ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის ოქტომბერში 214 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №50):



12.5 პრობაციონერთა რესოციალიზაცია

2012 წლის ოქტომბრის თვეში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელებული რესოციალიზაციის პროგრამები 2 რეგიონში 20 პრობაციონერისთვის მოქმედებდა. მათ შორის 15 სრულწლოვანი და 5 არასრულწლოვანი მამაკაცი იყო. ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პრობაციონერთა რესოციალიზაციის ა/წ ოქტომბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი და რეგიონული ჭრილის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №51, №52).

პრობაციონერთა რესოციალიზაცია სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



პრობაციონერთა რესოციალიზაცია რეგიონებში



2012 წლის ოქტომბრის თვეში განხორციელებული რესოციალიზაციის ღონისძიებები საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობასა და სარეაბილიტაციო-სამკურნალო პროგრამებს მიეკუთვნება.